ამ გაზეთის საგარეოპოლიტიკური მიმომხილველი ივ. მორო წერილში — „ცეცხლს ნუ ეთამაშებით!“ წერს, რომ „ხრუშჩოვის გამოსვლა მოსკოვში მტკიცე მოწოდებაა გონიერებისადმი, იგი სერიოზული გაფრთხილებაა ავანტიურების მოყვარულთათვის“.

ცეცხლს ნუ ეთამაშებით, — აცხადებენ საბჭოთა ადამიანები და დასტურებენ თავიანთ გადაწყვეტილებას —მტკიცედ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი იმ სოციალისტური ქვეყნების მიმართ, რომელთაც იმპერიალიზმი ემუქრება, კერძოდ, ვალდებულებანი კუბის მიმართ, — წერს ივ. მორო.

მშვიდობისათვის ბრძოლა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწევა, — აღნიშნავს კომენტატორი, — სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა მთელი კაცობრიობისათვის.

ივ. მორო დასძენს, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცადინეობას, რომლის მიზანია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცება.

გაზეთმა „ლიბერასიონმა“ გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი სათაურით: „ხრუშჩოვი აცხადებს: მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ერთადერთი გონივრული პოლიტიკაა“.

ბონი, 28 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ამომრჩეველთა წინაშე მოსკოვში. როგორც გაზეთი „ნოე რაინ-�აიტუნგი“ ხაზგასმით აღნიშნავს, „საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში ხრუშჩოვმა კვლავ მხარი დაუჭირა თანაარსებობის პოლიტიკას“.

გაზეთები განსაკუთრებით ფართოდ აშუქებენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას გერმანიის საკითხისა და დასავლეთ ბერლინის პრობლემის შესახებ. „რაინიშე პოსტს“ მოჰყავს მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ სანამ არ არის დადებული გერმანიის საზავო ხელშეკრულება, ევროპაში, მთელ მსოფლიოში არ იქნება სიმშვიდე. ხრუშჩოვმა, წერს „ფრანკფურტერ ალგემაინე“, „გამოთქვა რწმენა, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულება გახსნის მშვიდობისა და განიარაღების გზას“. „ფრანკფურტერ ალგემაინე“ და სხვა გაზეთები გამოაყოფენ აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის იმ სიტყვებს, რომ მხოლოდ ომის გზით შეიძლება შეიცვალოს ამჟამად არსებული საზღვრები ევროპაში. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, წერს გაზეთი „დოიჩე ციტუნგი“, გერმანიის პრობლემა მიიჩნია შემდგომი საგარეო-პოლიტიკური განვითარების ძირითად საფუძვლად. ხრუშჩოვმა, აღნიშნავს „დი ველტი“, გაიმეორა თავისი წინადადება, რომ დასავლეთ ბერლინში ნატოს ალაში შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

ტოკიო, 28 თებერვალი. (საკდესი). იაპონიის ყველაზე დიდი გაზეთები „იომიური“, „ასახი“ და „მაინიტი“ დღეს პირველ გვერდებზე ბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსს კალინინის ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე. სიტყვის დაწვრილებითი შინაარსი გადასცა აგრეთვე კიოდო ცუსინის სააგენტომ პროვინციული გაზეთებისათვის. სათაურებში, რომლებიც წამძღვარებული აქვს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას, ხაზგასმულია: „საერთაშორისო კონფლიქტები უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. ერთადერთი გზა მშვიდობიანი თანაარსებობის გზაა“! („მაინიტი“), „საჭიროა დაიდოს ხელშეკრულება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ნატოს შორის. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება განიარაღების ხელშეკრულებაა“. „(იომიური“) „ხრუშჩოვი ხაზს უსვამს მშვიდობიანი თანაარსებობის საჭიროებას და კომუნისტურ ბანაკს მოუწოდებს, რომ შეკავშირდეს“. („სანკეი სიმბუნი“).

კაირო, 28 თებერვალი. (საკდესი). კაიროს მთელი პრესა დაწვრილებით აქვეყნებს დღეს ცნობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ ამომრჩეველთა კრებაზე.

გაზეთები ხაზს უსვამენ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის თუნდაც ახლავე ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და რომ საბჭოთა კავშირი საშიშროების შემთხვევაში დაეხმარება თავის მეგობრებს და გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს აგრესორებს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲐᲚᲐᲘᲜᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲢᲪᲘᲪᲮᲣᲚᲘ

ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ახალი კარიალაინენმა, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირში, მიიღო საკდესისა და მოსკოვის რადიოს კორესპონდენტები და თავაზიანად დათანხმდა ეპასუხა მათ კითხვებზე.

კითხვა: როგორია თქვენი შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში მოგზაურობის შედეგად? რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად ვოლგოგრადსა და კიევში?

პასუხი: — ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გულითადმა სტუმართმოყვარეობამ როგორც მოსკოვში, ისე ვოლგოგრადსა და კიევში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი დიდი ყურადღებით მოგვეპყრო მოსკოვში. საუბრები, რომლებიც მასთან გვქონდა, ძალიან სასარგებლო. ეს უწინარეს ყოვლისა მიგვანინა ფინეთისადმი, მისი ხალხისადმი ყურადღების გამოვლინებად და ნეიტრალიტეტის იმ პოლიტიკის პატივისცემად, რომელსაც ფინეთი აზორციელებს. ჩვენ ძმაყოფილებით ავღნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმით ფინეთის პოლიტიკის საფუძვლები. ეს ყველაზე ძლიერი და ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილებაა.

რაც შეეხება ვოლგოგრადს, იქ დიდად აღგვაფოთოვანებს ყოველივე, რაც დაკავშირებულია წარსულ ომთან. ძალიან სასიამოვნოა, რომ ქალაქს, რომელიც პირდაპირ ფერფლიდან აღორძინდა, აქვს ახლა ესოდენ ბევრი სამრეწველო საწარმო. ჩვენ ეთვალიერეთ სატრაქტორო ქარხანას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ წარმოებს საწარმოს რეკონსტრუქცია და სრულყოფა ტექნიკური თვალსაზრისით. ბუნებრივია, რომ ვოლგის ჰესმა — ერთადერთმა მთელ მსოფლიოში თავისი გრანდიოზულობით — უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

რაც შეეხება კიევს, საინტერესოა აღვნიშნოთ, თუ როგორ აღიბეჭდა ქალაქის მთელ იერში მისი ათასწლოვანი ისტორია.

ჩვენ ძალიან დაგვაინტერესა უკრაინის დედაქალაქის ეკონომიურმა და კულტურულმა ცხოვრებამ. მაგრამ კიევი მარტოოდენ ისტორიული ძეგლი როდია. იგი ცხოვრობს თანამედროვე დროის ნაკლებობის გამო საშუალება არ გვქონდა გწვეოდით უკრაინის ბევრ ობიექტს. მაგრამ უკრაინის ხელმძღვანელმა სახელმწიფო [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ახალი ამბები

ცნობები • ფაქტები • მიმოხილვა • სპორტული ქრონიკა

მეგრძელი შემოქმედება

ლათინური ამერიკის ქვეყნების გრაფიკოსთა ნამუშევრების გამოფენა თბილისში

✦

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ამ დღეებში მოეწყო უკვე მეორე გამოფენა, რომელმაც თბილისის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. ეს არის ლათინური ამერიკის ქვეყნების თანამედროვე გრაფიკოსთა ნამუშევრები. გამოფენა მოეწყო მოსკოვის პუშკინის სახელობის მუზეუმის ფონდებიდან.

ექსპოზიცია განლაგებულია ქვეყნების მიხედვით: მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, ჩილი. ძირითადად წარმოდგენილი არიან ამ ქვეყნების პროგრესული მხატვრები. ყველაზე ფართოდ ნაჩვენებია მექსიკური ხელოვნება.

აღსანიშნავია, რომ მექსიკაში თანამედროვე მხატვართა შორის ფართო პოპულარობით სარგებლობს მხატვრების გაერთიანება „ხალხური გრაფიკის სახელოსნო“. სახელოსნოს ოსტატები ეხმაურებიან ყველა პოლიტიკურ მოვლენას. ისინი ქმნიან დაბრაგებულ მექსიკელი ხალხის ცხოვრების ამსახველ სურათებს, იმაღლებენ ხმას ომის წინააღმდეგ. ყურადღებას იპყრობს ამ სახელოსნოს ერთ-ერთი დამაარსებლის ლ. მენდესის შემოქმედება. გამოფენაზე ექსპონირებულია მისი რამდენიმე ნამუშევარი: „ჩამოხრჩობილნი“, „გლეხების ღასჯა“ და სხვ. აქვეა პ. ოხიგინესისა— „მრეცხაველები“, „მუშაობის დრო“, ა. მეხიაკის — „სამხრეთელი გლეხები“, ა. გომესის — „დედა ომის წინააღმდეგ“, ნ. ინიგესის — „სახალხო ქონების დამტაცებლები“, „დაპატიმრებული მეშახტეები“, „მშვიდობის მტრები“ და ა. შ.

მექსიკელი ბავშვების ცხოვრებას მიუძღვნა თავისი შემოქმედება მხატვარმა ქალმა ფ. რაბელმა, აი. მისი რამდენიმე ლინოგრავიურა — „პატარა გამყიდველი გოგონა“, „ახალგაზრდა დედა“, „პოლიგიელიტი“.

ვათვალიერებთ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების თანამედროვე მხატვარ გრაფიკოსთა ნამუშევრებს. იგრძნობა მექსიკური ხელოვნების გავლენა. ამ ქვეყნებშიც არის სხვადასხვა მხატვართა გაერთიანებები. კერძოდ, ბრაზილიაში არის მხატვრების გაერთიანება „ბრაზილიის გრავიორების მეგობართა კლუბი“. აქ გაერთიანებული არიან პროგრესულად მოაზროვნე მხატვრები. გამოფენაზე ექსპონირებულია კლუბის წევრების კ. მანუსოს, რ. კ�ს, დ. გონსალესის, გ. როდრიგესის გრაფიკული ნამუშევრები.

არგენტინელ გრაფიკოსთაგან ყურადღებას იქცევს ლ. პელეგრინის „ქალის პორტრეტი“ და „მქოლველები“, ა. ვიგოს „უმუშევარნი“, „გაფიცვა“.

გამოფენაზე ექსპონირებულია აგრეთვე ურუგვაელ მხატვარ გრაფიკოსთა რამდენიმე ნამუშევარი.

მოკლედ

საამაყო დროშა

შაშიანის სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები გურჯაანის რაიონში ერთ-ერთი მოწინავენი არიან. გასული წლის IV კვარტალში მათ გადამეტებით შეასრულეს საცალო საქონელბრუნვის, საზოგადოებრივი კვების, პაიის დაგროვების და მოგების გეგმა.

სოფლის კოოპერატივს (თავმჯდომარე ზ. მათიაშვილი) ამ მაჩვენებლებისათვის მიეკუთვნა „ცენტროსოიუზის“, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და 600 მანეთი ფულადი პრემია.

ა. სულავა.

ავტოსკოლა ახალციხეში

ახალციხე. (საკ. კორ.). აქაურ ზოგადსაგანმანათლებლო, სპეციალურ და ტექნიკურ სასწავლებლებს კიდევ ერთი ახალი სასწავლებელი შეეშატა. გაიხსნა ავტომძღოლთა სკოლა.

ავტოსკოლის განკარგულებაშია სხვადასხვა მარკის შვიდი ავტომანქანა. ამჟამად სკოლაში 100 მოსწავლეა.

გულადი კაპიტანი

ტრაულერი „მსტა“ მძლავრად მიაპობს ყინულოვანი ოკეანის გამძვინვარებულ ტალღებს. კაპიტნის ბოგურაზეა შტურმანი ჯონდი ჯოჯუა. იგი წარბშეკრული გაჰყურებს პოლარულ ღამეში გართხმულ სივრცეს და უკვე მერამდენედ გრძნობს, თუ რა დიდ სტიქიონთან მოუწევს შებრძოლება. ქარიშხალი ბობოქრობს, ტალღები მთებივით იმართებიან. მთელი ეკიპაჟის ბედი მათზეა დამოკიდებული. ოდნავი შეცდომა, და ვინ იცის, რა ხვედრს შეაგებებს მეზღვაურთა ოჯახებს ოკეანის მრისხანე სტიქიონი.

სულ რაღაც ასი მილია დარჩენილი კუნძულ შპიცბერგენამდე, და უეცრად ეთერში გაისმის საბედისწერო მეზღვაურული სიგნალი: „Sos!“

ტანმკერვი შტურმანი უმალვე აცხადებს განგაშს, შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აუწყებს მსოფლიოს ყველა რადიოსადგურს და კურსს იღებს განსაცდელში მოქცეულ ტრაულერ „რიონის“ საშველად. იქვე ახლოს იყო ნორვეგიის გემი, მაგრამ მას ვერ მოენერხებინა დახმარება, „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“,—გაახსენდა ჯონდის და გადაწყვიტა თვითონვე, რადაც უნდა დაჯდომოდა, ეხსნა ეკიპაჟი.

საჭედაზიანებულ „რიონს“ მძლავრად მიაქანებდა ტალღები კლდოვანი ნაპირებისაკენ. ჯოჯუამ „მსტა“ ახლოს მიაყენა „რიონთან“ და იშვიათი მამაცობით შეძლო ფოლადის ბაგირის გადაგდება გემბანზე.

თითქოს ეშველა, ბუქსირზე აყვანილია „რიონი“, მაგრამ არ მოხერხდა მისი ადგილიდან დაძვრა. მაშინ სტიქიონთან მრავალგზის ნაცადმა შტურმანმა გადაწყვიტა ადგილზევე დაემაგრებინა „რიონი“ და ასე ოთხ დღე-ღამეს სძლევდნენ ორივე გემის მეზღვაურები საერთო გასაჭირს. შემდეგ „რიონს“ საჭე შეუკეთეს და ორივე გემმა მშვიდობიანად ჩაუშვა ღუზები ბარენცბურგის ნავსადგურში.

ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია ჯონდი ჯოჯუას მეზღვაურული ცხოვრებიდან. მსგავსი შემთხვევა ბევრი ჰქონია და მუდამ გამარჯვებული გამოსულა სტიქიონთან შერკინებაში. ჯოჯუამ თავისი მამაცობით მოსალოდნელ ხიფათს გადაარჩინა თვით „მსტა“ გასული წლის მარტში, როცა წელზე თოკშემოხვეულმა რამდენიმე საათს დაპყო გაყინულ წყალში და შეაჩერა სამანქანო განყოფილებაში წყლის დენა.

ჯონდი ჯოჯუა 28 წლისაა და უკვე შორეული ცურვის ერთ-ერთ სახელმოხვეჭილ მეზღვაურად ითვლება. 1957 წლიდან, როცა მან წარმატებით დაამთავრა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი, იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა გემების „პეტრე დიდის“, „საქართველოს“, „როსიას“, „პობედის“ მეზღვაურად. ორი წელია ჩრდილოეთის თევზის მრეწველების მურმანსკის აუზის ფლოტშია და ღირსეულად ასრულებს რთულ მოვალეობას. ჯოჯუას მამაცობისა და გამბედაობის ამბავს ხშირად იტყობინებიან მურმანსკის გაზეთები, მათ შორის „პოლიარნაია პრავდა“.

ამას წინათ სახელმოხვეჭილი კაპიტანი ეწვია თავის მშობლიურ ქალაქ ფოთს და აქ გაატარა შვებულება. უეჭველია, კვლავ ასახელებს მშობელ ქვეყანას სახელოვანი კაპიტანი.

კ. კომაახიძე.

• • •

სურათზე: ჯონდი ჯოჯუა.

„ვოლგა“ და „მოსკვიჩი“ ვი კაპიკად

თბილისის მსუბუქი ავტომანქანების გამყიდველი მაღაზია შეუდგა ლატარიის ბილეთებზე მოგებული მანქანების გაცემას.

პირველი ავტომანქანა „ვოლგა“ მიიღო ონის რაიონის სოფელ სევის მასწავლებელმა ფილიპე ბეზაშვილმა, მეორე ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო ქუთაისის მცხოვრებმა.

ავტომანქანები „მოსკვიჩი“ მოიგეს და უკვე იღებენ უნივერსიტეტის სტუდენტი ჯემალ ლებანიძე, თბილისელი დიასახლისი თამარ ბინიაშვილი და გაგრის მცხოვრები.

„ზაპოროჟეცი“ ამ წელს ლატარიაში პირველად გთამაშდა. ეს ავტომანქანა მოიგეს გორის რაიონის სოფელ ტირძნისის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმმა სერგი ტუღუშმა, ქობულეთელმა სტავრო ფოკაიდომ, აგრეთვე თბილისის, ბათუმისა და გურჯაანის მცხოვრებლებმა.

სულ მალე, 30 მარტს, ბათუმში გაიმართება მეორე გამოშვების მორიგი ტირაჟი.

საინტერესოა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი წარმატებით იყიდება ლატარიის ბილეთები. ამჟამად მრავალ ქალაქსა და სოფელში უკვე გაიყიდა მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთები

ა. შტეინბერგი.

რუსთავი, ლენინის სახელობის მოედანი.

ფოტო ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოგზაურობა საწარმოში

ამას წინათ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში დაბრუნდნენ დემობილიზებული მებრძოლები. დეპოს კოლექტივი გულთბილად შეხვდა თავის აღზრდილებს.

ზაურ შეყილაძე და ეფლოგი კიკნაძე ჯერ კიდევ საბჭოთა არმიის რიგებში წასვლამდე დეპოში დაეუფლნენ ზეინკლის სპეციალობას და რამდენიმე დღეა კვლავ ძველი პროფესიით მუშაობენ. კადრის მუშათა მხარდამხარ ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან დემობილიზებული ახალგაზრდები მემანქანის თანაშემწეები: ე. მარუოზაშვილი, რ. მახარაშვილი, თ. კიკნაძე, შემკეთებლები ვ. კურტანიძე, ჯ. გონგლაძე და სხვ. ისინი გარემოსილი არიან დეპოს მთელი კოლექტივის მზრუნველობითა და ყურადღებით.

დემობილიზებული მებრძოლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დ. ფარემუზოვი.

ფეიძრეგის ექსკურსია

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მეორე საქსოვი მოსამზადებელი საამქროს თანამშრომლებმა ამას წინათ მოაწყეს ექსკურსია მარშრუტით: გორი-სიგურამა-მცხეთა-თბილისი-რუსთავი. ექსკურსანტებმა პირველ დღეს დაათვალიერეს გორი და მცხეთა, ინახულეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში და თბილისის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. ქუთაისელი ფეიერები ერთი დღით ესტუმრნენ აგრეთვე ქალაქ რუსთავს.

თ. ბენიძე.

გუნებგა ჩვენს გარშემო

ფრთოსან მგალობელთა ტურნირი

მაშ ასე, ეიერის ოხოვნაა დაიწყონ. დარბაზში ხმაური წყდება. ყველანი ინტერესით ათვალიერებენ გალიებს, რომლებშიც ყვითელი სოლისტები სხედან, სხედან და დუმან.!

— აბა გამოვიდეს ბატრონი. რაღას უყურებთ, დაიხმარეთ! — ჯავრობენ მსაჯები.

და ბატრონიც „ეხმარება“, ოდნავ გაბაგონად სტვენას იწყებს. სახე დაძაბვია, ტუჩები გაუშვერია, თვალებში იმედი ჩასჩასია. და აი ფრთოსანი მგალობელიც გამოეხმაურა.

— ჩუმად, ამბანგებო, ძალიან ნაზად იწყებს, — ეუბნება დამსწრეთ ბატრონი. ხალხი დადუმდა. ულმობელ ეიერის კი გამოეკვეს გადაწყვეტილება:

—ვერ გავა. უკვე შესრულებულს გამეორება გალობა არ არის.

გამოცდა ვერც მეორემ ჩაბარა, ვერც მესამემ და ვერც მეოთხემ. ბატრონებს სწყინთ. ფრთოსნები კი აინუნშიაც არ იგდებენ. ჭიკჭიკებენ, ხტიან, მარცვალს ეკენკავენ.

მაგრამ აი ლაურეატის წოდების კიდევ ერთი პრეტენდენტი. მან თავი მაღლა აწია და გაიბა წყარსავით ანკარა გრძელი ნოტა, გადავიდა სწრაფ სეკრეტზე, კვლავ სიორმეში ჩაიკარკაკა, ვერცხლივით აწკრიალდა და უეცრად სეკდიან ნოტაზე შეწყვიტა ნაზი გალობა.

ტაშს არ უკრავენ. მაგრამ სასტაკი შემფასებელი დუმილი ტაშზე უფრო სასიამოვნოა.

კონკურსი დამთავრებულია. უკანასკნელი სოლისტი გალიით გაიკეთ. ხოლო საღამ ვნებათა ღელვა ცხრება, მსაჯებთან მივდივარ. იქ ირკვევა, რომ კანარის ჩიტების კონკურსები მოსკოვში წელიწადში ორჯერ იმართება.

როგორ ასწავლიან ჩიტებს? არსებობს გალობის სხვადასხვა სკოლა: მუზლანოვური, პავლოვური, შმელიოვური... შეიძლება იყოს ასალი სკოლებიც, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარემოში იზრდება „ნორჩი ნიკი“. კანარის ჩიტი მეტად მიმბაძველია. შეუძლია ბაძავდეს ყოველ გარეულ ფრინველს, ადუღებულ ჩაიდანს, წყლის ჩუხჩუხს, ვიოლინოს, ფირფიტის დაკვრას. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მეთოდი უვარგისია: ფრინველს სმენა ფირფიტის ხმაურსა და ტკაცუნს იხსომებს და მაშინ გალობაში წუნი ჩნდება.

მაგრამ აი ეიერის გადაწყვეტილება გამოიტანა. სამმა გაიმარჯვა, სამმა მოიპოვა მცირე ოქროს მედალი. ბედნიერი არიან მოსკოველები კ. აკიმოვი, მ. გორნოვი, გ. ჩერკიზოვი — ფრთოსან ლაურეატთა პატრონები.

ე. პანიჩკინა.

(„ნედელია“).

რა ხდება ჭადრაკის სამყაროში?

ნონა მივიდა, ნახა და დაამარცხა... ცხრაკეტიანი ქალაქ ბევერვიიკში. ამის წინ კი მან პირველი ადგილი დაიკავა პრეტენდენტთა ტურნირზე, და ბრწყინვალედ გაიმარჯვა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვაზე. ნონა გაფრინდაშვილის სახელი მთელ მსოფლიოში ქუხს, თვითონ ნონა კი ყველას ანადგურებს ჭადრაკის დფაზე. ეს ნიჭიერი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე ქალიშვილი ყველამ ცნო მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე ქალად. დაიბადა ახალი დიდი ნიჭი. ნონა გაფრინდაშვილი სამართლიანად შეიძლება შევადაროთ უკვდავ ვერა მენჩიკს — მსოფლიოს პირველ ჩემპიონ ქალს.

მაგრამ, რას იზამ, გამოჩნდა ერთი სკეპტიკოსი. და იგი აღმოჩნდა... ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი რობერტ ფიშერი. ფიშერმა კატეგორიულად განაცხადა, ჭადრაკი ქალის საქმე არ არისო. ქალთა მოძულე ბობი ამტკიცებს, რომ ადვილად მოუგებს ნონას მატჩს, ყოველ პარტიაში მისცემს ფორას — მხედარს. იგი სანაძლეოდაც კი დებს 3.000 დოლარს... აქვე გავიხსენოთ, რომ გასულ წელს „გულუბვი“ ბობი აცხადებდა მიხეილ ბოტვინიკს ორ ქულა ფორას მივცემ... და მატჩს მოვუგებო!

ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა ხალისით აიტაცა რობერტ ფიშერის ტრაბახი და ბოდვა გაფრინდაშვილთან მატჩის შესახებ. მათ „კარგად ინფორმირებული წრეები“ დაიმოწმეს და ისიც კი განაცხადეს, რომ გაფრინდაშვილმა გამოწვევა მიიღო. მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ფიშერი არც ისე მიამიტია, როგორც ცდილობს მოგვაჩვენოს თავი. მას მშვენივრად ესმის, რომ ასეთი „მატჩები“ არასოდეს არ გაიმართება. მაგრამ ბობის სჭირდება პრესაში ხმაური, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წარუმატებლად გამოვიდა კუნძულ კიურასაოზე (სადაც იკვეხნდა, პირველობას მოვიპოვებო!) და ოლიმპიადაზე ოქროს ქვიშებში.

რა თქმა უნდა, ფიშერის წინადადება თავაწყვეტილი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ მოდით ერთი წუთით ჩვენც გამოვიჩინოთ ფანტაზიორობა. რით დამთავრდებოდა ასეთი მატჩი? ფიშერი უდავოდ ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ მე ვურჩევდი მას ამ 3.000 დოლარის დებენდების უფრო საიმედო ხერხი მოენახა, ვიდრე გაფრინდაშვილთან შეხვედრა. დაგეკარგებოდათ დოლარები, ბობი!

საჭადრაკო წრეებს განზრახული აქვთ მომდინარე წლის ივლისში ლოს-ანეულოსში გამართონ საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც მიწვეული არიან მიხეილ ბოტვინიკი, ტიგრან პეტროსიანი, რობერტ ფიშერი, სამუელ რეშევსკი, ოსკარ პანო, სვეტოზარ გლიგორიჩი და ფრედერიკ ოლაფსონი. რა აზრი აქვს „რიგგარეშე“ ტურნირის მოწყობას მონაწილეთა ასეთი ძლიერი შემადგენლობით? ჭადრაკი წაითამაშონ? ჰოც და არაც. უფრო მეტად კი ეძებენ კიდევ ერთ შესაძლებლობას მოახდინონ ფიშერის რეაბილიტაცია და დიეხმარონ მას პირველი ადგილის დაკავებაში. აი მაშინ ახალგაზრდა ბობი თავისი დამახასიათებელი თავმდაბლობით შეძლებს გამოაცხადოს თავი... მსოფლიოს ჩემპიონად!

50 წლის ასაკში მიხეილ ბოტვინიკმა მატჩ-რევანშში სძლია მიხეილ ტალს. დიდუფლა ბოტვინიკის მეორე საჭადრაკო ახალგაზრდობა, „მეორე გაზაფხული“. მსოფლიოს ჩემპიონის ზარმატებამ აღაფოთოვანა უფროსი თაობის მოჭადრაკეები. ალექსანდრე კოტოვმა, რომელსაც აგრეთვე მალე შეუსრულდება 50 წელი, წარმატებით გახსნა 1963 წლის საჭადრაკო სეზონი. ჰასტინგსის ტრადიციულ საახალწლო ტურნირში მან გლიგორიჩთან გაიყო პირველი და მეორე ადგილები. „ჭადრაკს ყველა ასაკი მემორჩილებს!“— განაცხადა 53 წლის გროსმაისტერმა ნაიდორფმა და გაიმარჯვა ჰავანის საერთაშორისო ტურნირში.

ჭადრაკის ყველა მოყვარულს აღელვებს, რა მოსდის მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მიხეილ ტალს. ორი წლის განმავლობაში მისი წარმატებანი ხომ სრულებითაც არ არის ისე ბრწყინვალე, როგორც მიეჩვევნენ ამ ორიგინალური მოჭადრაკის ნიჭის თაყვანისმცემლები. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მისი წარუმატებლობის (ზოგჯერ შედარებითის!) ძირითადი მიზეზია ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა. ამას წინათ ტალმა რთული ოპერაცია გადაიტანა. საბედნიეროდ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ტალს ნახულობენ მეგობრები, საჭადრაკო სპორტის გულშემატკივრები, სახელგანთქმული ოსტატები.

მე და მიხეილ ბოტვინიკმაც ვინახულეთ საავადმყოფოში ჩვენი მეგობარი. მსოფლიოს ჩემპიონმა მაგრად ჩამოართვა ხელი თავის ამხანაგს და უთხრა: „აბა, მიშა, ახლა თქვენ ჯანსაღად ხართ! ახლა კვლავ დასცებით ყველას!“

ტალი მალე გამოვა საავადმყოფოდან სავსებით ჯანსაღი. ჯერ გამორკვეული არ არის, რომელ ტურნირში ითამაშებს ტალი პირველად ავადმყოფობის შემდეგ, მაგრამ ეს „ჭადრაკის ფანატიკოსი“ ახლავე მიიწევს საბრძოლველად.

ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩზე მიხეილ ტალი უთუოდ ერთ-ერთი უძლიერესი გულშემატკივარი იქნება. „ერთ-ერთი...“ იმიტომ, რომ მაყურებელთა შორის იქნებიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილ სმისლოვიც, მსოფლიოს ექ-ჩემპიონი მაქს ეიოვეც (სამი „ექსი“!), პაულ კერესიც და ბევრი სხვა სახელგანთქმული მოჭადრაკე.

საბჭოთა გროსმაისტერები ეფიმ გელერი და მარკ ტაიმანოვი „მორიგი ნაგასტროლო“ მოგზაურობისთვის ემზადებიან. ამჯერად მათი მარშრუტი გადის ლათინური ამერიკის ქვეყნებზე — არგენტინაზე, ურუგვაისა და მექსიკაზე. და თუმცა მოსკოვი „დაობლდა“ ერთი წოდებით — ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის რეზიდენცია თბილისი გახდა, — მოსკოვი კვლავ რჩება „ჭადრაკის მექადა“ და კვლავ წამყვან როლს ასრულებს ჭადრაკის სამყაროში. მალე აქ ჩამოვლენ ძველი „მსაჯთა ფირმის“ წარმომადგენლები შტალბერგი და გოლომბეკი — მსოფლიოს პირველობაზე მატჩების თითქმის უფდმივი მსაჯები. მატჩში ოპონენტებად გამოდიან ბოტვინიკი და პეტროსიანი. ცნობილია ორთაბრძოლის ადგილიც: მოსკოვი, ესტრადის თეატრი.

ეხლა ამ თეატრში ყოველ საღამოს მხიარულებაა—გამოდის მოსკოველთა საყვარელი მსახიობი არკადი რაიკინი. მაგრამ 23 მარტიდან მხიარული საღამოები ამ თეატრში მხოლოდ დღეგამოშვებით იქნება. კვირის დანარჩენ დღეებში აქ ძალიან სერიოზული საუბარი იქნება უმაღლეს საჭადრაკო დონეზე.

ჯერჯერობით კი ჭადრაკი დალაგებულია მყუდრო შინაურ კაბინეტებში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონი და ამ წოდების პრეტენდენტი მომავალი მოქმედების გეგმებს ამუშავებენ. გროსმაისტერები თვიანთ ნაბიჯებს ამთავრებენ. მცირე მნიშვნელობა როდი აქვს ფიზიკურ მომზადებასაც. მაშ როგორ, ეს მატჩი ხომ მსოფლიოს პირველობაზეა! ძნელი წარმოსადგენია, რა გონებრივ და ფიზიკურ დაძაბულობას მოითხოვს ასეთ ბრძოლაში მონაწილეობა. ბოტვინიკისათვის ეს ყველაზე უკეთ არის ცნობილი. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ერთხელ გამომიტყდა, თვითეული მატჩი ერთი წლის სიცოცხლეს მართმევსო.

აი რა სერიოზული ამბები მოხდება ჭადრაკის სამყაროში.

მაშ ასე, მალე შეხვედრამდე ესტრადის თეატრში 1963 წლის უდიდეს საჭადრაკო კონცერტზე!

საერთაშორისო გროსმაისტერი

სალო ფლორი,

საგანგებო „ახალი ამბების“ მიმომხილველი.

ოლიმპიური იდეალები ურყევია

ნიუ-იორკი. (საკდესი). ოლიმპიური იდეალები კვლავ ურყევი იქნება, მიუხედავად პოლიტიკური გართულებებისა, ხანძარივით რომ გადაეკროლეს მსოფლიოს, ასეთი სიტყვებით დაიწყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ედერი ბრენდეჯმა თავისი ინტერვიუ ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტისადმი ოლიმპიური მოძრაობის თანამედროვე პრობლემების შესახებ.

— ახლა ოლიმპიური მოძრაობა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, — ხაზგასმით აღნიშნა ბრენდეჯმა.— ამის დადასტურება იქნება ტოკიოს მომავალი ოლიმპიადა, რომელიც ყველაზე წარმომადგენლობითი უნდა იყოს მთელი ისტორიის მანძილზე.

ახლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში ასზე მეტი ქვეყანაა და კიდევ ბევრი აპირებს შემოსვლას ჩვენს ორგანიზაციაში. როგორ „ჩავტიოთ“ ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში ყველა შეჯიბრება უამრავი მონაწილით? — აი ჩვენი მთავარი პრობლემა.

ოლიმპიური ასპარეზობანი არსებითად ისახავენ ადამიანთა დაახლოების მიზანს. ჩვენს საქმეებში პოლიტიკური ჩარევას გადაჭრით წინააღმდეგი ვართ, რომლებსაც წყვეტს ყველა ერი, მიუხედავად იმისა, თუ რა რასისა არიან, რა ფერის კანი და სარწმუნოებაც უნდა ჰქონდეთ, თქვა ბრენდეჯმა.

ქართველი ხალხი

„ნონა“ ... ...

ნონა მივიდა, ნახა და დაამარცხა... ცხრაკეტიანი ქალაქ ბევერვიიკში. ამის წინ კი მან პირველი ადგილი დაიკავა პრეტენდენტთა ტურნირზე, და ბრწყინვალედ გაიმარჯვა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვაზე. ნონა გაფრინდაშვილის სახელი მთელ მსოფლიოში ქუხს, თვითონ ნონა კი ყველას ანადგურებს ჭადრაკის დფაზე. ეს ნიჭიერი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე ქალიშვილი ყველამ ცნო მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე ქალად. დაიბადა ახალი დიდი ნიჭი. ნონა გაფრინდაშვილი სამართლიანად შეიძლება შევადაროთ უკვდავ ვერა მენჩიკს — მსოფლიოს პირველ ჩემპიონ ქალს.

... ...

ნოვოსიბირსკი, 1 მარტი. (საკდესის კორ.). იმ ამბავმა, რომ საქართველოს მცხოვრები გალინა ლარიონოვა გამოელაპარაკა უცნობ მარიანა ბატენოვას, რომელიც კავკასიაში ჩამოვიდა შვებულების გასატარებლად, დაუბრუნა მას ორი და, რომელთა შესახებ გალინამ თითქმის ოცდათი წელიწადია არაფერი იცოდა.

ციმბირელი დები ლარიონოვები ადრე დაობლდნენ. ბედმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოახვედრა ისინი, ხოლო ომის წლებში საბოლოოდ დაკარგეს ერთმანეთი. გალინა, რომელიც სბავშვო სახლში გაიზარდა, მოხალისედ წავიდა ომში, შემდეგ გათხოვდა და საქართველოში დასახლდა. დებზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა მას, მაგრამ ძებნამ კარგი შედეგი ვერ მოიტანა.

ამ ისტორიამ დიდად აღელვა მარია ბატენოვა. კავკასიიდან ციმბირში რომ დაბრუნდა, დაიწყო ძებნა. რჩევას ეკითხებოდა მილიციის სამსახურის სპეციალისტებს.

ძებნა რამდენიმე თვეს გაგრძელდა. იშვიათი შეუპოვრობა და სიბეჯითე ბოლოს და ბოლოს ანაზღაურდა არა ნაკლები იშვიათი წარმატებით. ბატენოვამ ნოვოსიბირსკში აღმოაჩინა გალინას უმცროსი და ლიდია, რომელიც ამჟამად ქმრის გვარს — მეზერნინს ატარებს. იპოვნა მეორე დაც — კლავდია, რომელიც ირკუტსკში ცხოვრობს.

გმირი ქალაქის მეომრებთან

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის რევოლუციის მუზეუმში გულთბილი შეხვედრა მოეწყვა ეოლგოგრადის გმირული ბრძოლის მონაწილეებს: ა. გიორგაძეს, ვ. შახნაზაროვს, ნ. ერემენკოს, ა. ლომინაძეს, შ. პატარიძეს და ა. კილასონიას.

შეკრებილთ მიესალმა მუზეუმის დირექტორი ვლ. შარაშიძე, გმირი ქალაქის ბრძოლის ეპიზოდები უამბეს დამსწრეთ ვ. შახნაზაროვმა, ა. კილასონიამ, ნ. ერემენკომ, ა. გიორგაძემ.

მუზეუმის საპატიო სტუმრებს — ვოლგის ქალაქის სახელოვან დამცველებს მიესალმნენ ძველი ბოლშევიკები — სამოქალაქო ომის მონაწილენი ნ. კარპოვი და ვ. დოლომინი.

შეხვედრის დასასრულს შ. პატარიძემ მუზეუმს გადასცა ვოლგოგრადის დაცვის დროს ტყვიით დაცხრილული პარტბილეთის შესანახი ყუა.

საქართველოს ქომუნისტი

№ 2

გამოვიდა ეურნალ „საქართველოს ქომუნისტის“ მეორე ნომერი. ეურნალში დაბეჭდილია — „ხალხთა ერთიანან ძმური ოჯახში“ (ეროვნავე), „საბჭოთა დემოკრატიის დიდი, შემოქმედებითი ძალა“, ბ. ერემეთვილი — „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ლენინური პრინციპების აღდგენა და შემდგომი განვითარება“, დ. ჯიბლაძის — „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების შემდგომი განვითარება პარტიის ახალ პროგრამაში“, პ. შამათავას — „ხალხის დიადი გმირობა“, რ. დვალის — „მეცნიერება და წარმოება“. ნომერში არის განყოფილებები სამრეწველო საწარმოოთა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების მსმენელთა დასახმარებლად, „პარტიული ცხოვრება“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“, „წერილები და კორესპონდენციები“.

ნ. ს. ძნელაძე

გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1918 წლიდან, ნიკიფორე სოლომონის-ძე ძნელაძე.

ნ. ს. ძნელაძე დაიბადა 1892 წელს სოფელ შუამთაში (ყოფილი ქუთაისის მაზრა). შრომითი საქმიანობა დაიწყო 1907 წლიდან. ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირდა ბოლშევიკურად განწყობილ პირებს, რომელთა მეშვეობით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, მონაწილეობას იღებდა მეშვეიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ავრცელებდა ილეგალურ ლიტერატურას, რისთვისაც მეშვეიკების მიერ რეპრესირებული იყო 1920 წელს.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ნ. ს. ძნელაძე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1931-1932 წლებში არჩეული იყო მაიაკოვსკის რაიონის სოფელ შუამთის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარედ. 1933-1935 წლებში მუშაობდა მიქელეფონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის, უანგარო მუშაკის ნ. ს. ძნელაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

2 მარტი

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი — კაროლინა რიეკელი, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, საქართველო (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი, ნაკადული** — ბარონი მიუნჰაუზენი, თბილისი — პეტერი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა, დიდუბე** — მზე და ჩრდილი, **კომკავშირელი, გაზაფხული, კოსმოსი, ოფიცერთა სახლი** — როდესაც ხიდებს გადახსნიან, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ბაში-აჩუკი.

თეატრები

2 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დაისი (მე-9 აბონ. მე-7 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — მესამე სურვილი (მე-15 აბონ. მე-3 სპექტაკლი). **მარჯანიშვილის სახელობის** — ბაფთიანი გოგონა (მე-12 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ხელი ხიდიდან (მე-10 აბონ. მე-7 სპექტაკლი), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მზის დაბნელება (პრემიერა), **სანუკლტურის** — გრძნობათა ქიდილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბონ. № 27, 5 ს.). **თოჯინების ქართული** — ქალაპელა (11 ს. და 2 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — ზარა ოღლუხ